პროექტი

# ეროვნული უშიშროების კონცეფციის შემმუშავებელი კომისიის პირველი სხდომის დღის წესრიგი და გეგმა

---

<u>დღის წესრიგი:</u>

1. კონცეფციის მეთოდოლოგიური საფუძვლების შემმუშავებელი საბჭოს [შემა]დგენლობის დადგენა;
2. კონცეფციის ძირეულ საკითხთა მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფებისა და [...]ი ხელმძღვანელების განსაზღვრა;
3. იურიდიული უზრუნველყოფის ჯგუფის შემადგენლობის დადგენა;
4. ექსპერტ-სპეციალისტებთან მუშაობის წესისა და ფორმების განსაზღვრა.





## გეგმა-წინადადება

1. კონცეფციის მეთოდოლოგიური საფუძვლების შემმუშავებელი საბჭოს სავარაუდო შემადგენლობა:

ნუგზარ საჯაია, ლევან ალექსიძე, რევაზ ადამია, არჩილ გეგეშიძე, გია ნოდია, გიორგი ხუციშვილი, ლეო ჩიქავა, ნინო ჩხობაძე, ჯიმი ჯალიაშვილი.

<u>დაევალოს საბჭოს:</u>

საბჭომ ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს კონცეფციის მეთოდოლოგიური საფუძვლები განსახილველად.

2. კონცეფციის ძირეულ საკითხთა მოსამზადებელი სავარაუდო სამუშაო ჯგუფები:

ა) საგარეო პოლიტიკური უშიშროების (ხელმძ. გ. ბურდული)
ბ) საშინაო პოლიტიკური უშიშროების
გ) ეკონომიკური უშიშროების (თ. ბასილია, ლ. პაპავა)
დ) ეკოლოგიური უშიშროების (ნ. ჩხობაძე)
ე) სამეცნიერო-ტექნიკური უშიშროების (ა. თავხელიძე)
ვ) განათლების და კულტურის უსაფრთხოების (გ. გაჩეჩილაძე)
ზ) საზოგადოებრივი და სამართლებრივი უსაფრთხოების
თ) დემოგრაფიული უსაფრთხოების (ლ. ჩიქავა)
ი) ჯანმრთელობის დაცვის (ა. ჯორბენაძე)

<u>დაევალოს:</u>

ჯგუფების ხელმძღვანელებს წარმოადგინონ წევრთა სრული შემადგენლობა და ერთი თვის განმავლობაში მოამზადონ გეგმა-პროსპექტი.

3.

4.

# რამოდენიმე მოსაზრება საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციასთან დაკავშირებით

უსაფრთხოების ცნებამ, ისტორიული განვითარების პროცესში, მისთვის ტრადიციულად დამახასიათებელი სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობა "შეივსო" ასევე მნიშვნელოვანი ეკონომიური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, სოციალური, ეთნიკური თუ რელიგიური მომენტებით. ამჟამად, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის, ისე ცალკეული რეგიონების თუ სახელმწიფოების უსაფრთხოების ყოვლისმომცველი უზრუნველყოფა, შეუძლებელია უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარეშე ყველა აღნიშნულ სფეროში.

მეტად მნიშვნელოვანია, თუ რამდენად შეუძლია თითოეულ სახელმწიფოს დამოუკიდებლად უზრუნველყოს თავისი უსაფრთხოება ყველა მათგანში, რამდენად უნდა იყოს ის ჩართული რეგიონული თუ საერთაშორისო უსაფრთხოების კოლექტიურ სისტემაში, ვინაიდან განსხვავებული ტერიტორიის, მოსახლეობის, ეკონომიური, სამხედრო თუ პოლიტიკური პოტენციალის მქონე სახელმწიფოებისათვის, თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ სფეროს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციისათვის უპირველეს ყოვლისა უნდა განისაზღვროს:

1. საფრთხეები და მათი ხასიათი;
2. საფრთხეებზე რეაგირების საშუალებანი და ამ მიმართებით საქართველოს პოტენციალი;
3. საქართველო და უსაფრთხოების გარანტირების საერთაშორისო საშუალებანი.

საქართველოს მდგომარეობა და სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის ანალიზი რეგიონში საშუალებას იძლევა საფრთხის დეფინიცია შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: საფრთხე საქართველოსათვის ეს არის მოვლენა, რომელიც მიმართულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური სტაბილურობის, ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისა და მისი ეკოსისტემის წონასწორობის საზიანოდ. აქედან გამომდინარე საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციამ უნდა მოიცვას აღნიშნული ოთხივე ელემენტი.

საფრთხეები წარმოშობის წყაროების მიხედვით შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ:

შიდა და გარე საფრთხეები. ხასიათის მიხედვით კი არსებობენ გლობალური და ლოკალური საფრთხეები.

ეროვნული უსაფრთხოება, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის არსებობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს, სახელმწიფოს თითოეული მოქალაქის თავისუფლებაზე დაფუძნებული უსაფრთხოების გამოხატულებაა, რის გარეშეც შეუძლებელია არა მარტო სტაბილური სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბება, არამედ შესაბამისი ადგილის დაკავებაც უსაფრთხოების საერთაშორისო სისტემაში, რადგან მსოფლიოს თანამეგობრობა ადამიანის უფლებების ამ ქვაკუთხედს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

ეს უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი საკმაოდ სახიფათო და ანგარიშგასაწევი ტენდენციის გამო, რომლის არსი "ცივი ომის" დამთავრებისა და მსოფლიოში მომხდარი ცვლილებების შემდეგ საერთაშორისო უსაფრთხოების ცნების ძირეული გადასინჯვის ცდებში მდგომარეობს.

ამგვარი გადასინჯვის მომხრეები, რომლებიც განსაკუთრებით რუსეთის პოლიტოლოგიურ და პოლიტიკურ წრეებში მოძრაობდნენ, აცხადებენ, რომ საერთაშორისო თანაცხოვრების ევოლუციამ ეჭვქვეშ დააყენა საერთაშორისო უსაფრთხოების ძირითადი პრინციპები.

არსებული პრინციპების მიხედვით, საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი მდგომარეობა, როდესაც შექმნილია ყველა პირობა სახელმწიფოების ნორმალური არსებობის და ფუნქციონირებისათვის, მათი სუვერენიტეტის, ეკონომიკური და პოლიტიკური

დამოუკიდებლობის, სამხედრო–პოლიტიკური ზეწოლის ან აგრესიის აღკვეთის, სხვა სახელმწიფოებთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობების უზრუნველყოფის პირობებში. ამასთან ერთად საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის ზრუნვა გულისხმობს სახელმწიფოთა მიერ ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობის ეფექტიანი გარანტიების შექმნას ცალკეული სახელმწიფოების, რეგიონების თუ საერთოდ მსოფლიო თანამეგობრობისათვის.

"საჭიროა კი ყოველთვის და ყველა სახელმწიფოს დაცვა?"– კითხულობენ საერთაშორისო უსაფრთხოების პრინციპების გადასინჯვის მომხრეები. და თვითონ პასუხობენ – "ისეთი სახელმწიფოების დაცვის ცდებმა, რომლებმაც ამოწურეს თავიანთი თავი შინაგანად, ისტორიულად და სოციალურად და რომლებიც დანაშაულებრივ პოლიტიკას ატარებენ საკუთარი ხალხის მიმართ, შეიძლება უფრო დიდი საფრთხე შეუქმნას საერთაშორისო უსაფრთხოებას, როგორც ეს ერაყის, ყოფილი იუგოსლავიის ან ყოფილი საბჭოთა კავშირის მაგალითებმა დაადასტურა".

აშკარაა, რომ თავისთავად საკითხის ასე დაყენება უკვე მნიშვნელოვნად სახიფათოა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის, რადგან რუსეთი, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებთან ერთად, უკვე "ჩაეწერა" იმ არბიტრების როლში, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ დემოკრატიულია თუ არა ესა თუ ის სახელმწიფო და აქვს თუ არა მას არსებობის უფლება, მაშინ, როდესაც თავად რუსეთს, ისევე როგორც უდიდესი სამხედრო და შესაბამისად პოლიტიკური წონის მქონე სხვა სახელმწიფოებს, ამგვარი საფრთხე ნაკლებად ემუქრება.

საერთაშორისო, რეგიონული, ცალკეული სახელმწიფოების თუ საერთოდ უსაფრთხოების და მისი უზრუნველყოფის საკითხის ცნებების გადასინჯვის სურვილი, მსოფლიოში და ცალკეულ რეგიონებში მიმდინარე უკანასკნელი ცვლილებების შედეგია, მაგრამ საქმეა, რომ თუნდაც შორეული მომავლისათვის შეუცვლელის ის ძირითადი მაჩვენებლები, რასაც ეფუძნებოდა და ეფუძნება საერთაშორისო თუ ცალკეული სახელმწიფოების უსაფრთხოების გაგება – ესენია გეო–პოლიტიკური ინტერესები, მათი დაცვისთვის საჭირო ძალა და ამგვარი ძალის მქონე სახელმწიფოების მიერ შექმნილი "საერთაშორისო თამაშის წესები". მიუხედავად ამისა ამ ახალ, სახიფათო ტენდენციას, სრული სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ.

ტერიტორიით პატარა და მოსახლეობით მცირერიცხოვანი რეგიონული მასშტაბის სახელმწიფოებისთვის, როგორიც საქართველოა, იმის გათვალისწინებითაც, რომ ის გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან, მიმდინარე თუ მოსალოდნელი კონფლიქტებით საშიშ რეგიონში მდებარეობს, დამოუკიდებელი, უსაფრთხო არსებობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია რამდენიმე ძირითადი პირობის შესრულება:

1. თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურების შექმნა რეფორმების მაქსიმალური დაჩქარებით, რაც მსოფლიო თანამეგობრობას დაარწმუნებს საქართველოს ახალი კურსის შეუქცევადობაში და მტკიცე სურვილში თავისი ღირსეული ადგილი დაიკავოს "ახალ მსოფლიო მოწყობაში".

2. არსებული ეკონომიური და მოსახლეობის რესურსების, აგრეთვე მოსალოდნელი დახმარების გათვალისწინებით, ისეთი მინიმალური, მაგრამ მობილური თავდაცვითი სამხედრო სტრუქტურების შექმნა (რეზერვისტების სწავლებისა და გადამზადების ჩათვლით), რომელიც საშუალებას მისცემს უზრუნველყოს უსაფრთხოების მინიმალური დონე და დაამყაროს წესრიგი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ ეროვნულ საზღვრებში.

3. ზემოთაღნიშნული საქმიანობის პარალელურად პოლიტიკური აქტიურობა მეზობელ სახელმწიფოებთან ორმხრივი, თანასწორუფლებიანი, სამართლებრივ საფუძველზე დამყარებული ურთიერთობების განმტკიცების მიზნით ამ ურთიერთობების დამყარებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უსაფრთხოების გარანტიებს სხვადასხვა სფეროში.

4. მსოფლიოში სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებების გათვალისწინებით აქტიური მონაწილეობა, რეგიონული თანამშრომლობისა და უსაფრთხოების მექანიზმების შექმნაში, სხვადასხვა დონეზე.

მიაღწიო ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე მდგარი ქვეყნების თანხმობას უსაფრთხოებისა და ნდობის რეჟიმის შექმნისათვის აუცილებელ საერთო პრინციპებზე. ასეთ პირობებში, მიამიტობა იქნებოდა საუბარი უსაფრთხოების რაიმე მტკიცე გარანტიებზეც.

რეგიონებში არსებული კონფლიქტები ამჟამად მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ძირითად საზრუნავად იქცა, რადგან გლობალური ბირთვული დაპირისპირების თანდათანობით შემცირების პირობებში, მსოფლიო თანამეგობრობის უსაფრთხოებას საშიშროება სწორედ ცალკეული რეგიონებიდან ელის.

ეს საშიშროება ემყარება უპირველეს ყოვლისა ყოფილი "მესამე სამყაროს" ზოგიერთი სახელმწიფოს სურვილს თვითონ გახდეს ბირთვული იარაღის მფლობელი, რაც ბირთვული იარაღის გავრცელების საშიშროებას ქმნის. გარდა ამისა გლობალურ საფრთხეებში შეიძლება გადაიზარდოს ჩვეულებრივი შეიარაღებით წარმოებული რეგიონული ომები, რომელთა გაფართოების საშიშროება უკვე საკმაოდ რეალურია.

ეკონომიკური, სოციალური, ეთნიკური თუ რელიგიური მომენტები რეგიონული კონფლიქტების თანმდევი და მნიშვნელოვანი კომპონენტებია, მაგრამ უკვე აშკარაა, რომ მათ ძირითად მიზეზს წარმოადგენს იმ ძალების წინააღმდეგობა, რომელთაც შენიღბული თუ აშკარა ფორმით, არ სურს მსოფლიოს "ახლებურად მოწყობა" დასავლეთის მიერ აღიარებულ დემოკრატიულ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პრინციპებზე.

ამ წინააღმდეგობის დაძლევას საკმაოდ ხანგრძლივი დრო დასჭირდება და სანამ შეიქმნება კოლექტიური უსაფრთხოების ისეთი რეგიონული თუ გლობალური სისტემები, რომელში მონაწილეობაც საქართველოს და მის მსგავს სახელმწიფოებს უსაფრთხო არსებობის რეალურ გარანტიებს მისცემს, საჭიროა მაქსიმალურად უზრუნველვყოთ უსაფრთხოების ინდივიდუალური თუ ორმხრივი გარანტიები.

5. საქართველოს დამოკიდებულების განსაზღვრა კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპებისადმი როგორც რეგიონულ ისე გლობალურ მასშტაბში.

ორ უკანასკნელ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, მსოფლიოში ამჟამად შექმნილი მდგომარეობიდან და მისი განვითარების პერსპექტივებიდან გამომდინარე.

კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნა უეჭველად უნდა ემყარებოდეს იმ საერთო პრინციპებს, რომლებსაც იზიარებს სისტემაში ჩართული ყველა მონაწილე. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანეს საკითხად დგება სისტემაში მონაწილეთა უსაფრთხოების გარანტიების საკითხი.

როდესაც საქმე ეხება უსაფრთხოების გლობალურ საერთაშორისო სისტემებს, როგორც გაერო-ს ან ევროპის უსაფრთხოების სისტემებია, მონაწილე მხარეების მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო დოკუმენტებზე დამყარებული ეს სისტემები, თითქოს უსაფრთხოების უფრო მტკიცე გარანტიებს იძლევა, ვიდრე რეგიონის ფარგლებში ან ორმხრივ ხელშეკრულებებში დაფიქსირებული გარანტიები.

მეორეს მხრივ პოლი-პოლარული მდგომარეობისაკენ მიმავალ მსოფლიოში მომრავლებული რეგიონული კონფლიქტები გვიჩვენებს, რომ მათი შეწყვეტის ან მოწესრიგებისაკენ მიმართული ცდები საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით, ან მნიშვნელოვნად გვიანდება, ან საერთოდ არაეფექტურია, კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების რთული პროცედურის, თუ მსოფლიოს ცალკეული წამყვანი სახელმწიფოების სუბიექტური პოზიციის გამო (მაგ. რუსეთის პოზიცია ყოფილი იუგოსლავიის კონფლიქტებში).

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, ერთმანეთის მეზობელ სახელმწიფოებს, რომელთაც ეკონომიური, კულტურული, პოლიტიკური თუ სხვა ურთიერთობების საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აკავშირებთ თითქოს საერთო პრინციპების შემუშავების უკეთესი შესაძლებლობა აქვთ, რაც შეიძლება უსაფრთხოებისა და ნდობის რეგიონული სისტემის საფუძვლად იქცეს. მაგრამ, ტერიტორიული, ეროვნული, რელიგიური თუ სხვა წინააღმდეგობებით აღსავსე რეგიონებში, როგორშიც საქართველოც მდებარეობს, პრაქტიკულად შეუძლებელია

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. სახელმწიფოს ყოვლისმომცველი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთდროულად როგორც საშინაო, ისე საგარეო სფეროში, რადგან ერთი რომელიმე კომპონენტის გამოკლებაც კი მნიშვნელოვნად ასუსტებს სახელმწიფოს უსაფრთხოებას.

2. მსოფლიოს ახლებურად ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობა გლობალური თუ რეგიონული უსაფრთხოების სტრუქტურებში, საქართველოს ვერ მისცემს სრული უსაფრთხოების გარანტიებს. ამიტომ მხოლოდ ამგვარ სისტემებში მონაწილეობით შემოფარგვლა მიუღებელია, თუმცა აქტიური თანამშრომლობა ამ მიმართულებით აუცილებელია.

3. პარალელურად უნდა დასრულდეს საქმიანობა უსაფრთხოების ორმხრივი გარანტიების მიღების მიმართულებით მეზობელი სახელმწიფოებისაგან, რომელთა შორის საერთო პროცესიდან "ამოვარდნილია" რუსეთი.

4. უნდა გაგრძელდეს პრიორიტეტული საქმიანობა რეგიონში უსაფრთხოებისა და ნდობის რეჟიმის შექმნის მიმართულებით, ამ პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების ნართვის გააქტიურებით.

5. უმოკლეს ვადაში უნდა დასრულდეს სახელმწიფოს ეკონომიური თუ ცოცხალი რესურსების მობილიზება და ამის საფუძველზე ინდივიდუალური მინიმალური თავდაცვის და უსაფრთხოების სისტემის შექმნა.

საქართველოს საგარეო
საქმეთა სამინისტრო